საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-267

20/04/2018

ქ. თბილისი

ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ. ქვედა საქარას ტერიტორიაზე შპს „ლელიკოს“ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფ. ქვედა საქარას ტერიტორიაზე, შპს „ლელიკოს“ ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #2; 11.04.2018წ.
2. შპს „ლელიკომ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #2; 11.04.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლელიკოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლელიკოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს (სოფ. ქვედა საქარა) საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი